# უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

## საქმიანობის ბიულეტენი

ივნისი, 2023

### თემატიკა:

- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- პლენარული სხდომა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

# ბიუროს სხდომა

# ბიუროს სხდომა

**6 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“, კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ (მესამე მოსმენა) და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილება.

ცვლილება შევიდა საგაზაფხულო სესიაზე „მინისტრის საათის“ განრიგში - აღნიშნულ ფორმატში, კანონმდებლები აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს - ნინო ნიჟარაძეს, 12 ივნისის პლენარულ სხდომაზე მოუსმენენ.

საკითხები ბიუროს სხდომაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინეს.

# ბიუროს სხდომა

**14 ივნისი, 2023 წელი**

15 ივნისის პლენარული სხდომით, აჭარის უმაღლეს საბჭოში, საგაზაფხულო სესია დაიხურება. სხდომაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს მოუსმენენ - თორნიკე რიჟვაძე გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს წარმოადგენს.

მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი ბიუროს სხდომაზე განისაზღვრა, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.



# კომიტეტის სხდომა

# საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

**5 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინა.

სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, მოხსენება მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ - გიგა ჩხარტიშვილმა წარმოადგინა.

მაუწყებლის მიმდინარე და სამომავლო პრიორიტეტების, პროგრამული გეგმების, სამაუწყებლო ბადეში განთავსებული გადაცემების, საბიუჯეტო პარამეტრების, შიდა და გარე აუდიტის დასკვნების, სოციოლოგიური კვლევების, რეიტინგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მომხსენებელმა და მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ისაუბრეს მაუწყებლის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, უპასუხეს კანონმდებელთა შეკითხვებს.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა ანგარიშის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვას.



# საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

**9 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, სსიპ ,,ბათუმის ბულვარის“ 2022 წლის საქმიანობის ანგარიში და 2023 წელს, ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

,,ბათუმის ბულვარის“ ხელმძღვანელის - ლაშა მიქელაძის განცხადებით, გასული წლის ბიუჯეტი 11 მილიონ 203 ათას ლარს აჭარბებდა, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო, გამწვანების სამუშაოები, განახლდა ცალკეული ლოკაციები, ასევე სპორტული, საპლაჟო ინფრასტრუქტურა და ა.შ.

მომხსენებლის განმარტებით, უმნიშვნელოვანესი იყო ბულვარის განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცება, რომლის შესაბამისად იგეგმება ყველა პროექტი. ლაშა მიქელაძემ, ასევე ისაუბრა 2023 წლის ტურისტული სეზონის სიახლეებზე და უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

წარმოდგენილი ანგარიში და ინფორმაცია კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

# ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

**13 ივნისი, 2023 წელი**

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ" ( № 09-01-08/39, 12.2022წ. პეტიციის ავტორი: ნესტან ანანიძე) პეტიციასთან დაკავშირებით, აჭარის მთავრობას სარეკომენდაციო წერილი გადაეგზავნება.

როგორც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებშია აღნიშნული, მუნიციპალიტეტების მიერ, სეზონურად, გამოყოფილია სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების ჯგუფები, რომლებიც საზაფხულო იალაღებს ემსახურებიან. კომიტეტის რეკომენდაციაა, მოთხოვნის შესაბამისად, გამოიყოს დამატებითი სახსრები დეფიციტის შესავსებად.

კომიტეტის სარეკომენდაციო წერილი გადაეგზავნება აჭარის მუნიციპალიტეტებს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ" (№09-01-08/40, 01.2023წ. პეტიციის ავტორი: გვანცა ვარშანიძე) პეტიციასთან დაკავშირებითაც. რეკომენდაცია, შესაბამისი პროექტების წარდგენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებში სათანადო სივრცეების გამოყოფას ითვალისწინებს.

კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი, სსიპ ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბ „იდეატორის" მიერ, წარმოდგენილი პეტიციის - ,,პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ" (09-02-13-გ/1069, 26.12.2022წ. ავტორი, -ინგა გეგეშიძე), საქართველოს პარლამენტში გადაგზავნას.

საკითხები სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ილია ვერძაძემ წარმოადგინა.

# საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

**21 ივნისი, 2023 წელი**

„საინტერესო, შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველი“, - ასე შეაფასა აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მარინე გვიანიძემ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ანგარიში. თინათინ ზოიძე, კომიტეტის სხდომაზე, 2022 წლის საქმიანობის ანგარიშითა და მიმდინარე ტურისტული სეზონის შესახებ ინფორმაციით წარსდგა.
მომხსენებლის განცხადებით, ტურიზმის აღდგენის დინამიკა რეგიონში უპრეცედენტოა პოსტპანდემიური და გლობალური გამოწვევების ფონზე.

პრიორიტეტების, შესაბამისი სერვისების, პროდუქტების, ინფრასტრუქტურული და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, თინათინ ზოიძემ, საერთაშორისო მასშტაბით განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება, უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს. წარმოდგენილი ანგარიში და ინფორმაცია კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

სხდომაზე მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს შექმნას, რომელიც ამ ეტაპზე, „ტურიზმის შესახებ“ კანონის ახალ პროექტზე იმუშავებს. 12-წევრიან საბჭოში, კომიტეტის წევრებთან ერთად, ტურიზმის სფეროს სპეციალისტები და ექსპერტები ერთიანდებიან.

კომიტეტმა ერთხმად დაამტკიცა საკონსულტაციო საბჭოს დებულება და მისი შემადგენლობა. სხდომის დასრულების შემდეგ, გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ამავე საბჭოს თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა.

# ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

**23 ივნისი, 2023 წელი**

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - ილია ვერძაძე უძღვებოდა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია განიხილეს. შესაბამისი მოხსენებები ფინანსთა და ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებმა - ჯაბა ფუტკარაძემ და ნინო ნიჟარაძემ წარმოადგინეს.
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა 2024 -2027 წლების პრიორიტეტების ძირითადი პარამეტრები წარმოადგინა. მისი განცხადებით, ძირითადი აქცენტები კვლავ ინფრასტრუქტურულ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და სხვა მიმართულებით განსახორციელებელ პროექტებზეა გადატანილი, სიახლეებია სოფლის მეურნეობის სფეროში. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, 2024 წლისთვის, საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბებს.

ანგარიში სხდომაზე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძემ რეგიონის მთავარი საფინანსო კანონის შესრულების პარამეტრებთან ერთად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მუნიციპალიტეტებში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებსა და სიახლეებზე ისაუბრა. მომხსენებელმა უპასუხა შეკითხვებს, რომელთა ნაწილი ახალ სამუშაო ადგილებს, ე.წ. „ოცნების ქალაქის“, მუნიციპალიტეტებში სოციალური სახლების მშენებლობასა და სხვა საკითხებს შეეხებოდა.

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა სხდომაზე, ასევე მიმოიხილა 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება, რომელიც კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბიუროს წარედგინება.

კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება - აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე.

# საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

**29 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტში, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების 2024 -2027 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ, ინფორმაცია განიხილეს.

სხდომაზე შესაბამისი მოხსენება ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, პრიორიტეტების დოკუმენტი ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებაზეა ორიენტირებული. ძირითადი პარამეტრების, მიმდინარე, დაგეგმილი და ე.წ. გარდამავალი პროექტების შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მომხსენებელმა უპასუხა კომიტეტის წევრთა შეკითხვებს, მოისმინა მათი მოსაზრებები.

მომხსენებელმა ისაუბრა სამუზეუმო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-გაუმჯობესების, საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარების, ინვენტარიზაციის, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებსა და გამოფენებში ჩართულობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო.

# პლენარული სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

# რიგგარეშე
# პლენარული სხდომა

**12 ივნისი, 2023 წელი**

„მადლობას ვუხდი თქვენს გუნდს გაწეული საქმიანობისთვის. არ გვახსენდება არცერთი შემთხვევა, რომ სამინისტროს რომელიმე მოქალაქე უყურადღებოდ დაეტოვებინა," - მიმართა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინიტრს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე - ნინო ნიჟარაძე „მინისტრის საათის" ფორმატში, კანონმდებლების წინაშე, სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენებით წარსდგა.

მომხსენებლის განცხადებით, უწყების ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, 15 %-ით გაიზარდა და 33 მილიონ 235 000 ლარია. სამინისტრო 36 პროგრამას ახორციელებს. მინისტრმა ისაუბრა სიახლეებზე, გამოწვევებზე და უპასუხა შეკითხვებს. წარმოდგენილი ანგარიში კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს.

სხდომაზე ერთხმად დამტკიცდა დადგენილების პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" და კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ" (III მოსმენა), რომლებიც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

კანონმდებლებმა მოისმინეს და ცნობად მიიღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ - გიგა ჩხარტიშვილმა მიმდინარე და სამომავლო პრიორიტეტებზე, პროგრამულ გეგმებზე, საბიუჯეტო პარამეტრებზე, შიდა და გარე აუდიტის დასკვნებზე, სოციოლოგიურ კვლევებზე, რეიტინგებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა, უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

სხდომას გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტები ესწრებოდნენ.

# საგაზაფხულო სესია პლენარული სხდომით დაიხურა - კანონმდებლებმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში მოისმინეს

**15 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლეს საბჭოში საგაზაფხულო სესია პლენარული სხდომით დაიხურა. სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიში ცნობად მიიღეს.

„გაზრდილი ბიუჯეტი არ არის მხოლოდ ციფრები, ეს არის ჩვენი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი, კონკრეტული პროგრამები და პროექტები“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ, რომელმაც მოხსენების დასაწყისში, მოსახლეობას აშშ-ში ვიზიტისას მიღებული საერთაშორისო, პრესტიჟული ჯილდოები მიულოცა.

მთავრობის თავმჯდომარემ, 2022-2023 წლების ანგარიშის წარდგენისას, ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ პროექტებზე, როგორებიცაა: „ოცნების ქალაქის“, სოციალური სახლების მშენებლობა, ავარიულ შენობებში მცხოვრებთა საცხოვრისით უზრუნველყოფა, ეკომიგრანტთა და ხანძრით დაზარალებულთა დაფინანსება. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ტურიზმის აღდგენის მზარდ დინამიკასა და შემოსავლებზე, მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე მასშტაბურ, მოსახლეობაზე ორიენტირებულ პროგრამებსა და სიახლეებზე. გარდა ამისა, თორნიკე რიჟვაძემ, ხაზგასმით ისაუბრა ქვეყნის ევროინტეგრაციის შეუქცევად კურსზე.

ძირითადი მოხსენების შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა უმაღლესი საბჭოს წევრთა კითხვებს, მოისმინა მათი გამოსვლები და შეფასებები.

სხდომაზე, რომელსაც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ, მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლამდე გაკეთდა განცხადებები.

# სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

# წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მეათეკლასელთა ექსკურსია აჭარის უმაღლეს საბჭოში

**2 ივნისი, 2023 წელი**

# მაჭახელა ჩვენი ქვეყნის, მოსახლეობის ეროვნული საგანძური და სიმდიდრეა - დავით გაბაიძე

**2 ივნისი, 2023 წელი**

მაჭახელას ხეობა, თავისი ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით თანამედროვე მსოფლიოს არცერთ ხეობას არ ჩამოუვარდება. ეს ჩვენი ქვეყნის, მოსახლეობის ეროვნული საგანძური და სიმდიდრეა," - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ მაჭახელას ხეობაში, „ეთნოსოფლის" ვიზიტორთა პირველი ცენტრის გახსნაზე.

„ეთნოსოფლის" მასშტაბური პროექტი, რომლის განხორციელებაც შარშან დაიწყო, რამდენიმე წელზეა გათვლილი და საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების რეაბილიტაციასა და სხვა ტურისტულ-ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოიცავს.

პროექტის განხორციელებას წინ უსწრებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები - განისაზღვრა ხეობის სტატუსი და უფლებამოსილებები. მიღებული კანონები ეროვნული პარკის დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ითვალისწინებს, რაც სასიკეთოდ აისახება ისტორიული ხეობის, მისი მცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ღონისძიების ფარგლებში, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე, ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის დეპუტატები აჭარის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტში- ფრიდონ ფუტკარაძე და ანზორ ბოლქვაძე, მთავრობის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ხეობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მაჭახელას ეროვნული პარკის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა აქტივობები გაიმართა.

# ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების რეგიონული ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოება

**3 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე რეგიონში მოქმედი სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების რეგიონული ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაში, სახელოვნებო, საჯარო, კერძო სკოლების, კულტურის ცენტრების საგუნდო და ქორეოგრაფიული ანსამბლები ეტაპობრივად მონაწილეობდნენ. საკუთარი შემოქმედება სულ 82-მა ანსამბლმა და 2 061-მა შემსრულებელმა წარმოადგინა.

დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება გალაკონცერტით დასრულდა.

# საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა და ექსკურსია უმაღლეს საბჭოში

**5 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლეს საბჭოში, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა და ექსკურსია ჩატარდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გარემოს დაცვით საკითხებზე, აჭარაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოს წევრებისაგან - მარინე გვიანიძისა და ფრიდონ ფუტკარაძისაგან მოისმინეს.

„გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის"(UNEP) წლევანდელი გარემოს დაცვის მსოფლიო დღის თემაა - ადამიანის კავშირი ბუნებასთან. ჩვენი გონივრული ქმედებები განაპირობებს გარემოს დაცვასა და უსაფრთხოებას, "- აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ.

ახალგაზრდებთან შეხვედრისას, აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ფრიდონ ფუტკარაძემ გარემოს დაცვითი კანონმდებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შესახებ კანონზე ისაუბრა, რომელიც ეროვნული პარკის დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ახალგაზრდებმა საინფორმაციო შეხვედრა-ექსკურსია უმაღლესი საბჭოს ახალი ვებპლატფორმა - chaerte.sca.ge-ის მეშვეობით ჩანიშნეს.

# ცოტნე ანანიძე მომავალ იურისტებს შეხვდა

**6 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ცოტნე ანანიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს შეხვდა.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის, კანონშემოქმედების ძირითადი პრინციპების, სტრუქტურის გაცნობის შემდეგ, ცოტნე ანანიძემ ახალგაზრდებთან კომიტეტის საქმიანობაზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან კანონმდებლების ურთიერთობის სპეციფიკაზე, ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის, შშმ პირთა უფლებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ისაუბრა.

შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, ყურადღება გამახვილდა პენიტენციალურ სისტემაში განხორციელებულ რეფორმაზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებაზე, სახალხო დამცველის, ასევე, სხვა ინსტიტუტების ჩართულობის მექანიზმებსა და ბერკეტებზე.

# ბათუმში ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ღონისძიება გაიმართა

**6 ივნისი, 2023 წელი**

„სასიხარულოა, რომ აჭარაში ტრადიციად მკვიდრდება ჭადრაკის ჩემპიონატების ჩატარება. არაერთმა ცნობილმა სპორტსმენმა სწორედ ბათუმში მოპოვებული გამარჯვებით გაიკაფა გზა წარმატებისკენ“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არუშიძემ ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე.

მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ბათუმში 12 ივნისამდე გაგრძელდება, 40 ქვეყნის 500-მდე მოჭადრაკე მონაწილეობს. 8-დან 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები ერთმანეთს სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში შეეჯიბრებიან.

ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ღონისძიებას აჭარის ხელისუფლების, ჭადრაკის ფედერაციების, სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

# ხულოსა და შუახევში წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადასცეს

**8 ივნისი, 2023 წელი**

„წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება, მათი შრომის დაფასება, მოტივაციაა სხვებისთვისაც. ვულოცავ ჩვენს საამაყო ახალგაზრდებს და სამომავლოდ, წარმატებებს, დასახული მიზნების განხორციელებას ვუსურვებ," - აღნიშნა მაღალმთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძემ ხულოსა და შუახევში მოსწავლეების დაჯილდოებისას.

უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადებით, ორივე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარმატებულ მოსწავლეებს, კომპიუტერები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის - "ჩემი პირველი კომპიუტერი"- ფარგლებში გადაეცათ.

უახლოეს დღეებში, სამაჟორიტარო ოლქში შემავალი სხვა მუნიციპალიტეტების წარჩინებული მოსწავლეებიც დაჯილდოვდებიან.

# „ადრეული განათლება და ზრუნვა“- ბათუმში მეორე საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა

**8 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეორე საერთაშორისო კონფერენციის - „ადრეული განათლება და ზრუნვა“ გახსნას დაესწრო.

კონფერენციაში, რომლის მთავარი თემაა - „თამაში: ხარისხიანი ადრეული განათლებისა და ზრუნვის საფუძველი“, მეცნიერებთან და მკვლევარებთან ერთად, სტუდენტები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF GEORGIA), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა (JICA) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობითა და მხარდაჭერით იმართება.

# დავით გაბაიძე და ილია ვერძაძე USAID-ის „სამოქალაქო განათლების პროგრამის“ პარტნიორი სკოლების მოსწავლეებს შეხვდნენ

**9 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ილია ვერძაძე USAID-ის „სამოქალაქო განათლების პროგრამის“ პარტნიორი სკოლების მოსწავლეებს შეხვდნენ.

ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფლის საჯარო სკოლების მე-9 და მე-12 კლასის მოსწავლეები საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას, მისი მუშაობის ძირითად პრინციპებსა და სპეციფიკას გაეცნენ.

შეხვედრაზე, ყურადღება გამახვილდა უმაღლესი საბჭოს მიერ ბოლო წლებში ღიაობისა და საჯაროობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ რეფორმებზე, ახალ ვებპლატფორმა - CHAERTE.SCA.GE-ის დანიშნულებასა და ფუნქციებზე, მოქალაქეთა ჩართულობის ახალ მექანიზმებსა და სერვისებზე.

ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომელსაც ცენტრის ხელმძღვანელი - მაია ქათამაძე, სკოლების დირექტორები და პედაგოგები ესწრებოდნენ, კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. პროგრამის მონაწილეებმა დაათვალიერეს უმაღლესი საბჭოს შენობა და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

# ირმა ხვიჩიას სარეაბილიტაციო ცენტრის ახალი შენობის გახსნა

**11 ივნისი, 2023 წელი**

„პაციენტების საჭიროებებზე მორგებული თანამედროვე სამედიცინო სერვისების დანერგვა, განვითარება და მიწოდება მნიშვნელოვანია ყველა სამედიცინო დაწესებულების ბენეფიციარისთვის. მისასალმებელია, რომ ირმა ხვიჩიას სარეაბილიტაციო ცენტრი, სიახლეების დანერგვისა და პაციენტზე მორგებული სერვისების, ადაპტირებული გარემოს შექმნის პარალელურად ბენეფიციარებს სთავაზობს სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ მკურნალობას“, -განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ ირმა ხვიჩიას სარეაბილიტაციო ცენტრის ახალი შენობის გახსნისას.

საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, ცენტრში, უმაღლესი საბჭოს წევრებთან - ფატი ხალვაშთან და ცოტნე ანანიძესთან ერთად, გაეცნო სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობასა და სიახლეებს, რომლითაც სხვადასხვა ასაკის ბენეფიციარებს მკურნალობენ.

როგორც აღინიშნა, სარეაბილიტაციო ცენტრი ჩართულია აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქალაქ ბათუმის მერიის შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში: აბილიტაცია/რეაბილიტაცია (ფსიქოლოსომატური პროგრამა), ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო, ინდივიდუალური სამედიცინო და ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებების პროგრამები.

# ჩანჩხალოში ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

**13 ივნისი, 2023 წელი**

მაღალმთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარი დეპუტატი უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩანჩხალოში ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

„მნიშვნელოვანია შუახევის მუნიციპალიტეტის გზის აღნიშნულ მონაკვეთზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რადგან იგი ტურისტული მნიშვნელობისაა, უკავშირდება გომარდულის საკურორტო ზონას, ბარათაულის თემს, სოფელ სხეფსა და თერნალს“ - აღნიშნა ფრიდონ ფუტკარაძემ.

პროექტის მიხედვით, რომლის ღირებულება 1 999 994 ლარია, გზის პარალელურად, მოეწყობა ხელოვნური და დამცავი ნაგებობები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბეტონის საყრდენი კედლების, გაბიონის, ზღუდარების და სანიაღვრე არხების მოწყობა.

სამუშაოები მიმდინარე წლის ივლისში დასრულდება.

# ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ 10 წლისაა

**19 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს - დავით გაბაიძეს, შშმ პირთა მხარდაჭერისა და თანადგომისათვის მადლობის სიგელი, „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ - ა(ა)იპ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საიუბილეო ღონისძიებაზე გადასცეს.

“აჭარის უმაღლესი საბჭო, შშმ პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სანიმუშო მოდელად იქცა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც. ადაპტირებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში შშმ პირთა სრულფასოვან მონაწილეობას. იმედი გვაქვს, უმაღლესი საბჭოს გამოცდილებას სხვა უწყებებიც გაიზიარებენ,“- განაცხადა „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თომა კაკაბაძემ ორგანიზაციის დაარსების 10 წლის იუბილეზე.

„ეს მადლობა ერთგვარი ავანსია ჩვენი უწყებისთვის. ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი გარემოსა და სერვისების შექმნა, ამ მიმართულებით პოლიტიკის წარმართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა უმაღლესი საბჭოსთვის. ვეცდებით სხვებისთვისაც ვიყოთ სამაგალითოები“,- განაცხადა დავით გაბაიძემ.

საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა, თავის მხრივ, აქტიური თანამშრომლობისთვის ახალგაზრდული ორგანიზაციის დამფუძნებლებს უმაღლესი საბჭოს „მადლობის სიგელი“ გადასცა.

საიუბილეო ღონისძიებაზე, ორგანიზაციის მიერ 10 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეჯამდა და შშმ პირთა მხარდამჭერი პროექტების განხორციელებისათვის რეგიონის სხვადასხვა სახელისუფლებო, არასამთავრობო და მედია სექტორის წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ.

# დავით გაბაიძეს საქართველოს პარლამენტის "მადლობის სიგელი" გადაეცა

**22 ივნისი, 2023 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნაში შეტანილი წვლილისა და პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის, საქართველოს პარლამენტის „მადლობის სიგელით“ დაჯილდოვდა. სიგელი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს ამავე კომიტეტის ხელმძღვანელმა - მაია ბითაძემ გადასცა.

მადლობის სიგელი

გადაეცემა

ბატონ დავით გაბაიძეს მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

მაია ბითაძე

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტმა აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა: „მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 20 სექტემბერს მიიღო.

საკანონმდებლო პაკეტი მაჭახელას ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

# დავით გაბაიძე მაჭახელას ხეობაში, საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტებისა და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ერთად იმყოფებოდა

**24 ივნისი, 2023 წელი**

„საამაყოა, რომ მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნაში, აჭარის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან აქტიური თანამშრომლობით, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ჩვენს მიერ ინიცირებულმა კანონებმა, ისტორიულ ხეობასა და მის მცხოვრებლებს, ახალი პერსპექტივები გაუჩინა“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ. დავით გაბაიძე მაჭახელას ხეობაში, საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტების, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები “ეთნო სოფლის“ მასტაბური პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ, დაათვალიერეს ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი, საგამოფენო სივრცე, ეთნოგრაფიული მუზეუმი და დაესწრნენ მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შესახებ მომზადებულ პრეზენტაციას, მოინახულეს ტურისტული ლოკაციები.

# 29 წელი საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაარსებიდან

**24 ივნისი, 2023 წელი**

ბათუმში საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაარსებიდან 29 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ უწყების თითოეულ თანამშრომელს საიუბილეო თარიღი მიულოცა და ქვეყნის უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა.„დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი ამაყობს, რომ ემსახურება სახელმწიფოს უსაფრთხოებას, მის ძლიერებასა და მდგრადობას. მადლობა თითოეულ თქვენგანს გაწეული შრომისა და თავდადებისათვის“, - აღნიშნა დავით გაბაიძემ.

# საერთაშორისო ურთიერთობები

# დავით გაბაიძე პაველ ჰერჩინსკის შეხვდა

6 ივნისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ ევროკავშირის ელჩს - პაველ ჰერჩინსკის უმასპინძლა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, რომელიც ელჩის აჭარაში პირველი ვიზიტის ფარგლებში შედგა, მხარეებმა ევროკავშირთან პარტნიორობის ზოგადი საკითხები განიხილეს.

ყურადღება გამახვილდა ჩვენს რეგიონში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმასა და საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზე.

პაველ ჰერჩინსკიმ დავით გაბაიძეს მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობები სასიკეთოდ აისახება ჩვენი ქვეყნის მომავალზე.

# პირველად, ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER) ისტორიაში, დავით ბაციკაძე ვიცე-პრეზიდენტი გახდა

30 ივნისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER, ერა) ვიცე-პრეზიდენტია. პირველად, ასამბლეის ისტორიაში, საქართველოს წარმომადგენელი გახდა ვიცე-პრეზიდენტი. აჭარის საკანონმდებლო ორგანოს წევრის ამ საპატიო თანამდებობაზე არჩევის საკითხი ბარსელონაში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის სიმპოზიუმსა და ბიუროს სხდომაზე გადაწყდა.

ესპანეთში, კატალონიაში გამართულ ღონისძიებებს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე არაშიძე და დავით ბაციკაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ზაურ ახვლედიანი და ბათუმის საკრებულოს წევრი - როსტომ ხალვაში ესწრებოდნენ.

ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) სიმპოზიუმზე, რომელშიც ევროპის 140 რეგიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, აირჩიეს ასამბლეის ახალი პრეზიდენტი - ალბერტ კასტელანოს მადუელი. სიმპოზიუმზე, არჩევნების პარალელურად, განიხილეს საერთო გამოწვევები, შესაძლებლობები და განსაზღვრეს ერას პრიორიტეტები.

ევროპის რეგიონთა ასამბლეა (AER) 1985 წელს დაარსდა და წარმოადგენს ევროპის უმსხვილეს დამოუკიდებელ რეგიონულ ხელისუფლებათა ქსელს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 1997 წლიდან ევროპის რეგიონთა ასამბლეის სრულუფლებიანი წევრია. გაწევრიანების შემდეგ რეგიონმა ისარგებლა ორგანიზაციის არაერთი პროგრამით.

## თვის სხვა აქტივობები, რომლებშიც უმაღლესი საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ:

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ბათუმის ყინულის მოედანზე - 01.06.2023
- აჭარის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა. - 23.06.2023
- ტიტე არაშიძე ბსუ-ში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გახსნას დაესწრო - 23.06.2023
- ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 30 წლის იუბილე - 23.06.2023
- მეზღვაურთა საერთაშორისო დღე - 25.06.2023
- აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ მუსლიმ მრევლს უდიდესი საღვთო დღესასწაული ყურბან-ბაირამი მიულოცა - 28.06.2023
- აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - მარინე გვიანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოების ღონისძიებას დაესწრნენ - 28.06.2023

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge